



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №18
2017 წლის 15 აგვისტო
ქ. სენაკი

**სენაკის მუნიციპალიტეტის 2017 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების
ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ II კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა სენაკის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების II კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, რომელიც მოსმენილი და შეფასებულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 15 აგვისტოს გამართულ საკრებულოს სხდომაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2017 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.:ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ჯუმბერი ლაშქარავა